საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №978
2024 წლის 25 იანვარი

ქ. თბილისი

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

პენიტენციური კოდექსის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3024-რს კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების თანდართული წესი.

2. დაევალოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 მაისის პერიოდში გასაცემი წელთა ნამსახურობის დანამატის სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთათვის გაცემა უზრუნველყოს 2024 წლის 1 ივლისამდე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსამსახურეთა ზოგიერთი დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2018 წლის 30 იანვარის №5 ბრძანება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომ – სამსახური) სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა (შემდგომ – მოსამსახურე) შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. მოსამსახურეზე არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ იმავე კანონითა და ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 2. მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება

1. მოსამსახურეს სამსახურებრივი საქმიანობის განსახორციელებლად ეძლევა ხელფასი, რომელიც მოიცავს:

ა) თანამდებობრივ სარგოს;

ბ) სახელმწიფო სპეციალური წოდების შესაბამის წოდებრივ სარგოს (შემდგომ – წოდებრივი სარგო);

გ) წელთა ნამსახურობის დანამატს.

2. სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს არ მიეცემა წოდებრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი.

3. მოსამსახურეს სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

4. მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი ან/და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის ან/და განსაკუთრებული დამსახურებისთვის წახალისების ფორმით, სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

5. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს წოდებრივი სარგო და სახელფასო დანამატი მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში არ ეძლევა ან შეიძლება შეუმცირდეს. ეს პუნქტი არ ვრცელდება სამსახურის გენერალურ დირექტორზე, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეზე.

6. მოსამსახურეს არ მიეცემა საკლასო დანამატი.

მუხლი 3. თანამდებობრივი სარგო

1. მოსამსახურის (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება №1 დანართით.

2. მოსამსახურის (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა აისახება, აგრეთვე, სამსახურის საშტატო ნუსხასა და მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებაში.

3. სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 4. წოდებრივი სარგო

მოსამსახურის წოდებრივი სარგო განისაზღვრება შემდეგი სახით:

სახელმწიფო სპეციალური წოდება	წოდებრივი სარგო (ლარი)
იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტი	120
იუსტიციის გენერალ-მაიორი	110
იუსტიციის პოლკოვნიკი	70
იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი	60
იუსტიციის მაიორი	50
იუსტიციის კაპიტანი	40
იუსტიციის უფროსი ლეიტენანტი	30
იუსტიციის ლეიტენანტი	25
იუსტიციის უმცროსი ლეიტენანტი	20

იუსტიციის ზემდეგი	7
იუსტიციის უფროსი სერჟანტი	6
იუსტიციის სერჟანტი	5
იუსტიციის უმცროსი სერჟანტი	4
იუსტიციის რიგითი	3

მუხლი 5. წელთა ნამსახურობის დანამატი

1. მოსამსახურის წელთა ნამსახურობის დანამატი განისაზღვრება სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები წლების მიხედვით, თანამდებობრივი სარგოსა და წოდებრივი სარგოს ჯამური თანხის შემდეგი პროცენტული ოდენობით:

ა) 1 წლიდან 2 წლამდე ნამსახურობისთვის – 5%;

ბ) 2 წლიდან 5 წლამდე ნამსახურობისთვის – 10%;

გ) 5 წლიდან 10 წლამდე ნამსახურობისთვის – 15%;

დ) 10 წლის ან მეტი ხნის ნამსახურობისთვის – 20%.

2. წელთა ნამსახურობის დანამატის გაცემის მიზნებისთვის ნამსახურებ წლებში ჩაითვლება სამხედრო წოდებით ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები წლები, მათ შორის, საქართველოს სხვა საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური, გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურისა/წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისა).

3. მოსამსახურის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნისას მოსამსახურის მიერ წელთა ნამსახურობის დამადასტურებელი დოკუმენტების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოში წარდგენის ან/და ამ დოკუმენტის სხვა საჯარო დაწესებულებიდან გამოგზავნის შემდეგ აღნიშნული სამმართველო უზრუნველყოფს მოსამსახურის სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები წლების შესახებ ნამსახურები წლების გამოთვლასა და შესაბამისი ინფორმაციის სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტისათვის მიწოდებას.

4. სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი წელთა ნამსახურობის დანამატის დაანგარიშებას ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების თარიღიდან/ინფორმაციაში მითითებული თარიღიდან.

5. მოსამსახურისთვის წელთა ნამსახურობის დანამატის გაცემა შეწყდება მისი დათხოვნის/გათავისუფლების შემდეგ, ნამუშევარი დღეების შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს გაცემის შეწყვეტასთან ერთად.

მუხლი 6. მოსამსახურის შრომის ანაზღაურების გაცემისა და დაანგარიშების წესი

1. მოსამსახურეს თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი მიეცემა ყოველთვიურად, ნამუშევარი დღეების მიხედვით.

2. მოსამსახურეს სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (გარდა ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და დადგენილი წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო/წოდებრივი სარგო და დანამატები ან/და ეძლევა სხვა კომპენსაცია.

3. კადრების განკარგულებაში აყვანილ პირს წელთა თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო და

წელთა ნამსახურობის დანამატი მიეცემა კადრების განკარგულებაში აყვანიდან 2 თვის განმავლობაში.

4. დისციპლინური წარმოებისას სამსახურისგან ჩამოშორებულ პირს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო/წოდებრივი სარგო და დანამატები.

5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსამსახურის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას, აგრეთვე სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, მოსამსახურის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში მოსამსახურეს თანამდებობრივი სარგო/წოდებრივი სარგო და დანამატები ან/და სხვა კომპენსაცია არ ეძლევა.

6. უშუალო ან ზემდგომი ხელმძღვანელის მიერ სამუშაოზე მოსამსახურის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გამო ჩამოშორების შემთხვევაში სამსახურისგან ჩამოშორებულ პირს სამსახურისგან ჩამოშორების პერიოდისთვის ხელფასი (თანამდებობრივი სარგო/წოდებრივი სარგო და დანამატები) არ ეძლევა.

7. მოსამსახურეს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან (სხვა ფუნქციების შესრულება), ეძლევა სამსახურში არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო მისი შემცვლელი პირის თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო. მოსამსახურეს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოსამსახურის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე (დამატებითი ფუნქციების შესრულება), თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა სახელფასო დანამატი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისიწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილი ოდენობით.

8. მოსამსახურეს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოსამსახურის ფუნქციებს, უნარჩუნდება წოდებრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი.

9. მოსამსახურის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 7. შრომის ანაზღაურების ფონდის ფორმირება

მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ფონდის ფორმირების წყაროა სამსახურის ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს შრომის ანაზღაურების შემცირების საფუძველი.

დანართი №1

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის (გარდა პენიტენციური დაწესებულებებისა) მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	გენერალური დირექტორი	10,507
2	გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე	10,321
3	გენერალური დირექტორის მოადგილე	10,268

4	დეპარტამენტის დირექტორი	10,268
5	დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	10,149
6	მთავარი სამმართველოს უფროსი	8,260
7	დეპარტამენტის უფროსი	6,650
		5,852
8	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	5,320
9	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	6,358
10	სამმართველოს უფროსი	6,358
		5,719
		5,320
		4,655
		4,389
11	შტაბის (სამმართველოს) უფროსი	5,719
12	სამმართველოს უფროსი (მთავარი ექიმი)	5,320
		5,054
		4,655
13	შტაბის (სამმართველოს) უფროსის მოადგილე	4,655
14	სამმართველოს უფროსის მოადგილე	4,655
		4,389
		3,990
		3,724
15	განყოფილების უფროსი	3,857
		3,724
		3,458
		3,325
		2,660
16	განყოფილების უფროსი (ექიმი)	2,660
17	განყოფილების უფროსის მოადგილე	3,724
		3,059
		2,394
18	გენერალური დირექტორის თანაშემწე	3,325

19	უფროსი ინსპექტორი	3,192
		2,261
		1,995
20	მთავარი სპეციალისტი	3,192
21	ოცეულის მეთაური	2,993
		2,062
22	უფროსი მებრძოლი ოფიცერი	2,847
23	გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანაშემწე	2,793
24	გენერალური დირექტორის მოადგილის თანაშემწე	2,793
25	დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე	2,793
26	დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანაშემწე	2,793
27	პროფესიული ზედამხედველი ფსიქოლოგი	2,793
28	პროფესიული ზედამხედველი სოციალური მუშაკი	2,793
29	პროფესიული ზედამხედველი შემთხვევის ადმინისტრატორი	2,793
30	უფროსი სპეციალისტი	2,793
31	მებრძოლი ოფიცერი	2,714
32	მძღოლი ოფიცერი	2,714
33	მთავარი ინსპექტორი	2,461
		1,822
34	ინსპექტორი	2,660
		2,036
		1,995
		1,729
		1,663
35	წამყვანი სპეციალისტი	2,527
36	ფსიქოლოგი (I კატეგორია)	2,461
37	სოციალური მუშაკი (I კატეგორია)	2,461
38	სპეციალისტი (ექიმი-ფსიქიატრი)	2,660
39	სპეციალისტი (ექიმი-დერმატოლოგი)	2,660
40	სპეციალისტი (ექიმი-სტომატოლოგი)	2,660
41	სპეციალისტი (ექიმი-ენდოსკოპისტი)	2,394

42	სპეციალისტი (ექიმი-ეპიდემიოლოგი)	2,394
43	სპეციალისტი (ექიმი-რადიოლოგი)	2,394
44	სპეციალისტი (ექიმი-სტატისტიკოსი)	2,394
45	სპეციალისტი (ექიმი)	2,394
		2,261
46	სპეციალისტი (ექიმი-ლაბორანტი)	2,394
47	სპეციალისტი	2,261
48	სპეციალისტი (მორიგე ექიმი)	2,128
49	სპეციალისტი (ფარმაცევტი)	1,995
50	სპეციალისტი (წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირი)	1,995
51	სპეციალისტი (სტატისტიკოსი-არქივარიუსი)	1,995
52	ფსიქოლოგი (II კატეგორია)	2,208
53	სოციალური მუშაკი (II კატეგორია)	2,208
54	შემთხვევის ადმინისტრატორი	2,036
55	უმცროსი სპეციალისტი	2,128
		1,862
56	უმცროსი სპეციალისტი (მორიგე ექთანი)	1,676
57	უმცროსი სპეციალისტი (ექთანი)	1,676
58	უმცროსი სპეციალისტი (ლაბორანტი)	1,676
59	უმცროსი სპეციალისტი (ფარმაციის ასისტენტი)	1,330
60	ინსტრუქტორი (თეორიული მიმართულება)	1,995
61	ინსტრუქტორი (საცეცხლე მიმართულება)	1,995
62	ინსტრუქტორი (ტაქტიკური მიმართულება)	1,995
63	უფროსი ესკორტის ოფიცერი	1,822
64	ესკორტის ოფიცერი (მძღოლი)	1,729
65	ესკორტის ოფიცერი	1,729
66	მორიგე ოფიცერი (თბილისი)	1,716
67	მორიგე ოფიცერი (ქუთაისი)	1,716
68	მორიგე ოფიცერი (ლაითური)	1,716
69	უმცროსი ინსპექტორი (ლოჯისტიკის დარგში)	1,463
70	უმცროსი ინსპექტორი	1,397

2. პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პენიტენციური დაწესებულების დირექტორი	11,372
		10,827
		9,723
		9,523
		8,898
2	პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოადგილე	9,257
		6,650
		5,985
		5,852
		5,054
3	პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მოადგილე – მთავარი ექიმი	5,852
4	სამმართველოს უფროსი	4,389
5	სამმართველოს უფროსის მოადგილე	3,724
6	განყოფილების უფროსი	3,591
		3,059
		2,780
		2,660
		2,394
7	განყოფილების უფროსის მოადგილე	5,054
		2,780
		2,075
8	სექტორის მენეჯერი	2,780
9	კორპუსის ოფიცერი	2,554
		2,421
		1,849
		2,554

10	ოპერატიული მორიგე	2,421
		1,849
11	მთავარი ინსპექტორი	2,461
		2,328
		1,836
12	უფროსი ინსპექტორი	2,208
		2,075
		1,995
		1,796
13	ოპერატიული მორიგის თანაშემწე	2,208
		2,075
		1,729
14	ინსპექტორი	2,036
		1,903
		1,729
		1,716
15	ინსპექტორ-კონტროლიორი	2,036
		1,903
		1,716
16	სპეციალისტი (ბუღალტერი)	1,995
17	სპეციალისტი (საქმისმწარმოებელი)	1,637
18	სამოქალაქო და სახანძრო თავდაცვის ინსპექტორი	1,543
19	დირექტორის თანაშემწე	1,543
20	ინსპექტორი-მძღოლი	1,543
21	სპეციალისტი (საწყობის მენეჯერი)	1,543
22	უმცროსი სპეციალისტი (ბიბლიოთეკის მენეჯერი)	1,197
23	უმცროსი სპეციალისტი (სასადილოს მენეჯერი)	1,197

შენიშვნა:

კონკრეტული მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა აისახება სპეციალური პენიტენციური სამსახურის საშტატო ნუსხასა და მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ სპეციალური

პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებაში.